

K 434  
1a

# ებირის იშმონის ბიბიოთეკა


## ნიანგი

ზოვი—ჩიზი  
კისას ნაამაობი  
ჩავნუჯრედი  
ჩიზი დღიური

### კუზიანეგის პოლიცია

„თავისი ხალხი“  
გზააგნეული  
იაზი კუგოვაზი  
აყეანავი ღატოვარი  
საბეჭისევრო ქუთი

„დარიალიზაცია“  
„გაერთება“



899.962.1-7

სატერიტო და იუსტიციის გიბლიონთება № 3.

ნ ი ა ნ გ ი

„კუზინეგის  
პოლიტიკ“

10

73.2019-13611

„ტარტაროზის“ გამოცემა

თბილისი—1930 წ.



ცეკავშირის სტამბა, პუშკინის 3.  
მთავარლიტი № 1257.  
დაკვეთა № 1111. ტირაჟი 5000.

## საერთაშორისო პუზიანების პოლიტიკა

გაიცანით: ვასო ქექილაძე გახლავთ...

კაცი „ორ სკამზე მჯდომი“.

კაცი, რომელიც „არც წვადს დასწვავს, არც შამფურს“.

მოლაყბე ხალხისათვის — „ხელზე საგოგმანებელი“ პიროვნებაა. თვალში რომ ჩაუვარდეს, ხელს არ ამოისვამენ.

მიუხედავათ ასეთი მისი თვისებებისა, ის მაინც წმენდის კანდიდატთა სიაშია „ჩავარდნილი“.

ეს იცის ვასომ და გაკვირვებით ეუბნება თავის თავს:

— სწორედ, გულთმისნებია კომუნისტები!

ვასოს სიფრთხილეში ვერავინ სჯობნის. ეშინია — არაფერი ცუდი წამოცდეს. მაგრამ ვერ ითმენს და თავის ძმისწულს „კომჭომოლა“ ანდრიას (როგორც ის უწოდებს მას) ხშირად „შეუკურთხებს“ ხოლმე.

განსაკუთრებით საერთაშორისო პოლიტიკაზე უყვარს ვასოს ლაპარაკი. მასი ფიქრით, ის იქნებოდა მსოფლიო გამოჩენილი დიპლომატი და პოლიტიკოსი, რომ გარემოებას ხელი შეეწყო. ერთ დროს მენშევიკების დიპლომატიაშიც იღებდა მონაწილეობას.

— ბიჭო, ანდრია, დამიჯერე, თქვენი საქმე ჭანდრაკულათ არის: ბურუუაზიამ თავის საქმე კარგათ იცის. მას რომ ომი უნდოდეს, თქვენგან ბურდლა არ დარჩება. ბურუუაზიამ იცის, რომ თქვენი ხოხოლა უომოთაც დაინგრევა! — ამბობს ქექილაძე და თან გესლიანათ ხითხითებს.

ანდრია არ უთმობს ძია ვასოს; პირიქით, ხშირად  
შეტევაზეც გადადის:

— მაშ არა და ბურუუაზიული სახელმწიფოებს ომი  
არ უნდათ?

ცდები მოქალაქევ. უნდათ კი არა, სწყურიათ ომი,  
მაგრამ რა ქნან, ჩვენი ეშინიათ, გესმის, ეშინიათ წითე-  
ლი არმიის! — უპასუხებს მას ანდრია ვაჟკაცური გამომეტ-  
ყველებით.

ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი სიხარულის ფრთხებს  
უსხამდა ქექილაძეს.

— აპი, ხომ ხედავთ, ჩინეთის ძლევამოსილი ჯარი  
მოიწევს მოსკოვისაკენ! — ამბობდა ვასო, როცა გაზეთებ-  
ში ამოიკითხავდა ჩინელ ჯარისკაცებისა და რუს თეთრ-  
გვარდიელ ბანდების მიერ საზღვრების გადმოლახვას და  
რომელიმე სანაპირო სოფლის დაკავებას.

ამ უკანასკნელ ხუთი თვის განმავლობაში ქექილაძე  
გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს გაზეთებს, დარწმუ-  
ნებული იმაში, რომ ჩინეთის „ძლევამოსილი“ არმია მოს-  
კოვსაც ჩქარა აიღებდა.

— :

იმედი მალე გაუცრუვდა.

— აპა, ხედავ, ძია ვასო? — ეკითხება ქექილაძეს  
ანდრია და უკითხავს შორეულ აღმოსავლეთის წითელ  
არმიის გამარჯვების შესახებ.

— მოიცა ბიძია, მოიცა, ეს აღბად სტრატეგიული  
ხერხია ჩინეთის არმიის! — დამშვიდებული კილოთი წარ-  
მოსთქვამს ქექილაძე და ჩინეთის რუკას ათვალიერებს.

— აბა, ეხლა რას იტყვი? — გაიძახის გახარებული  
ანდრია და კითხულობს გაზეთს, რომელშიაც გამოქვეყნე-  
ბულია ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის დეკლარა-  
ცია და საბჭოთა მთავრობის პასუხი.

ქექილაძემ წაიკითხა დეკლარაცია. წაიკითხა საბჭო-  
თა მთავრობის პასუხი და ენა ჩაუვარდა.

— ძია ვასო, გთხოვთ წაიკითხოთ საბჭოთა კავში-  
რის პასუხის მე-8 მუხლი! — გაბედული კილოთი ეუბნება  
ქექილაძეს ანდრია და თვალები უბრწყინავს.

ვასო კითხულობს:

„საკავშირო მთავრობა აცხადებს, რომ მანჯურია —  
საბჭოთა კონფლიქტი შეიძლება მოგვარებული იქნას  
მხოლოდ უშუალო მოლაპარაკებით საბჭოთა კავშირსა და  
ჩინეთს შორის, ჩინეთისთვის ცნობილ და მუკდენის მთავ-  
რობის მიერ უკვე მიღებულ პირობებთა საფუძველზე და  
რომ საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დაუშვას ვინმეს  
ჩარევა ამ მოლაპარაკებაში ან კონფლიქტში“.

ქექილაძე გაზით კეცავს და მაგიდაზე აგდებს.

— იმუქრებიან კიდეც?! — ჩაილაპარაკა ქექილაძემ  
თავისთვის და თავი ჩაქინდრა.

— ჩვენ არ ვიმუქრებით, მაგრამ, თუ საჭირო იქ-  
ნება, მზადა ვართ ბრძოლისათვის! მაშ რა გეგონათ, ჩვენ  
არავისი გვეშინია! ჩვენ ვიცით „კუზიანებს“ რა გაასწო-  
რებს:

სამარე, სამარე!

## შეფი — ჩემი

„პრასტრესტის“ მუშა-მოსამსახურეთა საშეფო კო-  
მისის წევრებისათვის რომ გეკითხათ, მათ არ სწამდათ  
„სიტყვისა და საქმის სხვადასხვაობა“. ხსენებულ კომისი-  
ის თავმჯდომარეს სილიბისტრო ლაყბაძეს „სიტყვის კა-  
ცით“ მოქონდა თავი.

— „ჩემთვის სიტყვა და საქმე ერთია“ ხშირად გა-  
იგონებდით მისგან.

— ამხანაგებო,— „აღგზნებული“ სიტყვით მიმართა  
მან ამ ერთი წლის შინათ საშეფო სოფლის ოფლარეთის  
მშრომელთ:

— იქონიეთ სრული იმედი, რომ ჩვენგან ყოველივე  
დახმარებას მიიღებთ, არ მოგაკლებთ არც სამეურნეო  
იარაღებს და არც კულტურულ ძალებს, ოლონდ ამ სოფ-  
ლის მშრომელთა კოლექტივი ვიხილოთ. გაუმარჯოს  
მსოფლიო რევოლიუციას. გაუმარჯოს ოფლნარეთის კო-  
ლექტივს! — დაასრულა მან თავის სიტყვა, რომელიც და-  
იფარა ტაშის გრიალით.

გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ისმოდა ხმები.  
გავიდა ორი წელი.

სოფელ ოფლარეთში ჩატარდა კოლექტივიზაცია.  
მშრომელთა კოლექტივი დღითი დღე „წელში მაგრდე-  
ბოდა“ და მტრებს „თვალებს უბრმავებდა“.

ამხანაგებო,— მიმართა სილიბისტრო ლაყბაძემ სა-  
შეფო კომისიის წევრთ,— „კომუნარედზე მოხსენებისათვის  
საშეფო კომისიის მუშაობის ანგარიშს ვამზადებ, საჭიროა  
თქვენი დახმარება, ეგებ მოიგონოთ, როდის ვიყავით  
სოფელ ოფლარეთში, ან ეგებ იცით, რა გაკეთდა ხსენე-  
ბულ სოფელში.

— როდის ვიყავით კი ვიცი: კვირა იყო, 18 მაისი,  
გაკეთების კი რა მოგახსენო.— სთქვა კომისიის ერთმა წევრ-  
მა ვანო ფშუტურაძემ.

— ცდები ამხ. ვანო, ჩვენ ვიყავით 19 მაისს და  
არა თვრამეტს, შეუსწორა მას კომისიის ერთმა წევრმა  
კირილე მელაძემ.

— არა, ამხანაგო, კირილე, შენ სცდები, ჩვენ ვი-  
ყავით შარშან, კვირას, სწორედ დღევანდელ დღეს; დღეს  
კი 18 მაისია.— შუბლზე თითის მიღებით დინჯათ წარ-  
მოსთქვა სილიბისტრო ლაყბაძემ.

— ცდები, კვირა 19 მაისი იყო და არა თვრამეტი დაუინებით იმეორებდა მელაძე.

— მაშ, მოღი სანაძლევო დავდოთ, მე ვამბობ: სოფელში ვიყავით შარშან კვირას, 18 მაისს.

— თანახმა ვარ, მომეცი ხელი,—და მელაძემ ხელი გაუწოდა ფშუტურაძეს.

— წაგებულმა იყიდოს 5 ბოთლი „ჩქეფი“—იყო სილიბისტროს წინადადება.

— კარგია! ისმოდა ხმები.

მოიტანეს წარსული წლის კალენდარი.

გადაფურცლეს. წაიკითხეს. კალენდარში „თეთრზე შავათ“ ეწერა:

კვირა 19 მაისი.

მელაძემ ნიძლავი მოიგო.

იმ დღეს, კვირას, 18 მაისს 1930 წლ., ერთ-ერთ სასადილოში „პრასტრესტის“ მუშა-მოსამსახურეთა საშეფო კომისიის წევრები მაგიდას შემოსხდომოდენ და „დროს ატარებდენ“. ტოლუმბაშათ ერთხმად აერჩიათ ლაყბაძე.

— ეს ღმერთმა... უკაცრავათ, ჩვენს შორის უღმერთოთა საზოგადოების წევრი ხომ არვინ არის? შეეკითხა ლაყბაძე იქ მყოფთ.

— არავინ! იყო საერთო პასუხი.

— მაშ, ეს ღმერთმა ადლეგრძელოს სოფელ ოფლნარეთის კოლექტივი, რომელიცა რომა, ჩვენი დახმარებით მომავალში უნდა დაარსდეს. ამ დროს სასადილოში „პრასტრესტის“ საქმის მმართველი შემოვიდა.

— ამხანავო სილიბისტრო, თქვენს სახელზე წერილია... შესვლისთანავე მიშართა საქმის მმართველმა ლაყბაძეს და წერილი გადიასცა.

— წერილი? ნეტავ ვისგან არის? გაკვირვებით იკითხა მან და წერილის კითხვა დაიწყო.

— ამხანაგებო, წერილი ოფლნარეთის კოლექტივიდან არის.

გვეკითხებიან: არსებობს თუ არა საშეფო კომისია? თუ არსებობს, რას აკეთებს. რატომ არ ვეხმარებით?

მე მგონია ამხანაგებო, კოლექტივს ჩვენ ასეთი პასუხი უნდა მივსცეთ:

— საშეფო კომისია არსებობს და იარსებებს. თუ რას ვაკეთებთ ეს ჩვენ ვიცით, ჩვენი საქმეა და არა კოლექტივის.— მეღიღურის კილოთი წარმოსთქვა სილიბისტრომ და „ჩქეფით“ სავსე ჭიქა ხელში აიღო.

— მართალია! სწორია! გაისმა ხმები.

— „ჩქეფით“ გამხიარულებულნი საშეფო კომისიის წევრები ერთმანეთს ადღეგრძელებდენ.

## ქალას ნაამბობი

ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის ჩასატარებლათ ს. ხარბეთში გაემგზავრა სპეციალური კომისია, რომლის ერთი წევრი მეც ვიყავი. ხარბეთლებს გრანდიოზული მიტინგი გაემართათ. ჩვენს გამოჩენას იქ მყოფნი აღფრთვანებით შეხვდენ. მიტინგი ადგილობრივ საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა და სიტყვა ჩვენი კომისიის თავმჯდომარეს მისცა, რომელმაც დიღხანს იღაპა აკა ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ. დიღას დაწყებული მიტინგი საღამოს დასრულდა... (კომისიაში ათი კაცი შევდიოდით და თვითეული ჩვენგანი დაახლოვებით ორ-ორ საათს ლაპარაკობდა).

ჩვენი გამოსვლის შემდეგ ტრიბუნაზე გამოჩნდა შუა ხნის ქალი, რომელსაც თავი თეთრი თავსაფარით წა-ერა.

— კინ არის ეს ქალი? — შევეკითხე ერთ ახალგაზრდა გლეხს.

— კინ არის და ჩვენი სოფლის შეგნებული და აქტიური ქალია — კესა ჭირნახულაშვილი.

— ამხანაგებო, — დაიწყო კესამ — დღეს მარტო მშრომელი ქალების დღესასწაული კი არ არის, დღეს მშრომელი მამაკაცების დღესასწაულიცაა... დღეს საერთაშორისო მშრომელი ხალხის დღეა... მშრომელი ქალები განთავისუფლებული ვართ საბჭოთა ქვეყანაში, რადგან ამ ქვეყნის მშრომელი ხალხი თავისუფალუა... ჩვენც თქვენთან ვართ, ამხანაგო მამაკაცებო, ამ საერთო საქმეში და ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვეწვით სოციალისტურ წყობილების განმტკიცებისათვის. ჩვენც თქვენთან ვართ იმ კოლექტიურ მეურნეობის მშენებლობაში, რომელიც დღეს ასე ფართოთ იშლება მშრომელთა მტრის სამწუხაროთ და მოყვარეთა სასიხარულოთ.

— ამხანაგებო, ნება მომეცით წარსულიდან გიამბოთ ერთი ამბავი: ჩვენს სოფელს წინათ მენშევიკებიც ხშირად ესტუმრებოდენ ხოლმე, რომლებიც ათასნაირ ჭორებს სოხზავდენ ბოლშევიკებისა და საბჭოთა წყობილების მიმართ. მახსოვს, ერთხელ ჩვენს სოფელს ესტუმრაცნობილი მენშევიკი, მაშინდელი მთავრობის წევრი, რომელმაც თავისი სიტყვა დაიწყო და გაათავა ბოლშევიკების ლანძლვა-გინებით.

— იცით თქვენ, — მიმართა მან ხალხს, ბოლშევიკები რას გვიზამენ რომ გაიმარჯვონ? აგვაოხრებენ, დაგვხვრეტენ... ცოლებს წაგვართმევენ და თვითონ დაირიგებენ... ესე იგი ცოლების სოციალიზაცია მოხდება... ეს იცოდეთ, თქვენ მამაკაცებო, იცოდეთ თქვენც ქალებო. იყავით ფრთხილად და თუ თქვენ შორის ბოლშევიკები ვმოჩნდეს, დაიჭირეთ და მთავრობას გადაეცითო...

მე მაშინ ბევრი არაფერი მესმოდა, მაგრამ მისი სიტყვა არ მომეწონა.

— გვატყუებს-მეთქი, გავიფიქრე და ჩემს ბიჭს შევეკითხე, რომელიც ბოლშევიკობდა:

— შვილო, მითხარი, მართალია რასაც მაგი ამ-ბობს თუ გვატყუებს მეთქი?

— სტყუის, დედა, სტყუის. ბოლშევიკები მხეცები არ არიან, მეც ხომ ბოლშევიკი ვარ, შენი შვილი!- მი-თხრა ჩემმა ბიჭმა და მეც ტრიბუნაზე გავჩნდი.

მე აღშფოთებით ვლაპარაკობდი და არ მახსოვს რას ვამბობდა... მხოლოდ ეს კი ვიცი, რომ ბოლშევიკებს და-უწყე დაცვა... იმ ღამესვე დამიჭირეს და ციხეში გამგზავ-ნეს.—დაასრულა თავისი სიტყვა კესამ.

### „მავნეჯრედი“

სოფელი ქვიშნარა ერთი „ჩამორჩენილი“ სოფელია ჩვენში.

ეკონომისტები ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ—ეს სოფელი დაშორებულია სამაზრო ცენტრს; მისი სათე-სი მიწები გამოუსადევარი, სოფელს საურმე გზაც არ გა-აჩენდა დღემდის და წერა-კითხვის მცოდნეს ხონ იქ „წამლათაც“ ვერ ნახავდით.

სამაზრო ხელმძღვანელების აზრით მაზრის დარაიო-ნების დროს საჭირო იყო ს. ქვიშნარას რომელიმე მოსა-ზღვრე სოფელთან გაერთიანება, რომ ამ უკანასკნელთან „ხელი-ხელ ჩაბმული“ ქვიშნარას მშრომელი ხალხი ეკო-ნომიურად წინ წასულიყო.

მაგრავ გაერთიანებაზე ქვიშნარელებმა უარი განაც-ხადეს და მით „დამოუკიდებლობა“ შეინარჩუნეს.

ქველ დროს ქვიშნარელები წყევლით იხსენებენ. ამ სოფლის მურომელთ კარგად ახსოვთ წარსულის „შავი ღლეები“, როცა მათ თავად-აზნაურები, მთავრობის მოხელენი, მღვდლები და ჩარჩები „ცხრა-ფენა“ ტყავს აძრობდენ.

ოქტომბრის რევოლუციის სხივმა ამ სოფელშიც შეაშუქა, ჩარჩი სიმონა სადღაც გაჰქრა, როცა მის დუქანს კოოპერატივი დაეპატრონა. სოფლის შუა ადგილას მთავრობამ სკოლა ააგო და მასწავლებლად ადგილობრივ საბჭოს თავმჯდომარის თედო ყლაპაძის შვილი დანიშნა; (თედოს „მოქახრაკებით“ მისი შვილის დანიშვნა სოფელმა მოითხოვა). მთავრობის დახმარებით საურმე გზაც გაიყვანეს და კოლექტივიც დაარსეს. კოლექტივში უმთავრესად უმიწაწყლო და ღარიბი გლეხები ჩაეწერენ. მთავრობამ კოლექტივს ყოველნაირი დახმარება გაუწია.

მარტო მთავრობა რას იზამს, თუ სოფელი მას არ დაეხმარება! — ამბობდენ ამ სოფლის გულშემატკივარი გლეხები. და მართლაც, ადგილობრივად საბჭოთა თუ პარტიის ხაზით არაფერი კეთდებობა, პირიქით, უკეთ რომ ესთქვათ, ამ სოფელში ანტისაბჭოთა მუშაობა სწარმოებდა, რომელიც სოფლის მეურნეობის სოციალისტურათ გარდაქმნას ხელს უშლიან...

ეს ამბავი ცენტრს ეცნობა, საიდანაც ხაგზავნილ იქნა სპეციალური კომისია ამ სოფლის ვითარების გამოსარკვევად. კომისიამ გამორკვევა დაასრულა და მთავრობას მოხსენება ვაუკეთა.

კომისიის მოხსენებიდან ჩვენ ვტყობილობთ შემდეგს:  
ს. ქვიშნარში არსებობდა ორი უჯრედი: პირველი — „კომუჯრედათ“ წოდებული, მეორე — „მავნუჯრედი“ (ანუ მავნებელთა უჯრედი).

პირველი — შესდგებოდა ხუთი წევრისაგან (საბჭოს თავმჯდომარე თედო ყლაპაძე, მისი შვილი — სოფლის

მასწავლებელი, მისი პიძაშვილი — კონპერატივის გამგე და ორი კულაკი).

მეორე-კი შვიდი წევრისაგან (სამი ყოფილი აზნაური, მღვდელი, ყოფილი მამასახლისი და ორი კულაკი).

ამ ორ უჯრედთა შორის ადგილი ჰქონდა „შემატკბილებულ“ მუშაობას. მათ შორის შეჯიბრსაც ჰქონია აღვილი (ცხადია არა სოცილისტურს), რომლის შედეგი ყოფილი ასეთი:

„კომუჯრედს“ ჰქონდა ორი წლის განმავლობაში ორი სხდომა, „მავნუჯრედს“ კი — ათი. „კომუჯრედის“ ჰირველ სხდომაზე ერთი საკითხი განეხილავთ — უჯრედის ბიუროს არჩევა. ბიუროში ერთხმად აურჩევიათ უჯრედის მთელი შემადგენლობა. მეორე სხდომაზედაც ერთი საკითხი ყოფილა დასმული — ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატის არჩევა. კანდიდატიათ ერთხმად აურჩევიათ თედო ყლაპაძე (იგივე კომუჯრედის „ხელმძღვანელი“, ანუ, როგორც მას უწოდებდენ, უჯრედის თავმჯდომარე).

„მავნუჯრედს“ კი გაურჩევია მრავალი საკითხები და მათ შორის, 1) კოლექტივისა და კონპერატივის წინააღმდეგ ბრძოლა, 2) საბჭოს თავმჯდომარეთ თედო ყლაპაძის არჩევა, 3) კულაკებთან კავშირი, ტრაქტორის დაზიანება და სხვ.

ამნაირათ „მავნუჯრედ-“ს „კომუჯრედისათვის“ შეჯიბრში უჯობნია.

ვინ იცის რამდენ ხანს გასტანდა „მავნუჯრედის“ კონტრ-რევოლიუციონური მოუვაწეობა და „კომუჯრედის“ ანტიკომუნისტური მუშაობა, რომ ცენტრს ამ საქმისათვის არ მიექცია ყურადღება.

გამოძრავევ კომისიის მასალებიდან სჩანს, რომ „მავნუჯრედის“ თავმჯდომარეს ყოფილ აზნაურს შაქრო

ნაგვაძეს „ციხის შიგნიდან გატეხა“ განუზრახვს. საბჭოს თავმჯდომარეთ შეძლებული გლეხის ყლაპაძის კანდიდა-ტურისათვის მხარის ღაჭერა სწორედ ამ მოსაზრებით იყო გამოწვეული. მასვე მიუნდვია ყლაპაძისათვის, რო-მელთანაც ნათესაური კავშირი ჰქონებია, ადგილობრივ კოლექტივში არევ-დარევის შეტანა და კოლექტივის მუ-შაობისათვის ხელის შეშლა. ყლაპაძე ამ დავალებას შეს-დგომია, მაგრამ მისდა სამწუხაროდ არ დასკლია და უკოვზი ნაცარში ჩავარდნია“.

ამ დღებში ქვიშნარის „გმირები“ ტფილისში ვნა-ხეთ. არავის ეგონოს, რომ ისინი სოფლის საქმეებზე ჩა-მოსულიყვნენ. მათი სურვილის წინააღმდეგ, ისინი ტფი-ლისში „ჩამოაბრძანეს“. მათი საქმე გაარჩია საოლქო სა-სამართლომ, რომლის განაჩენით „მავნუჯრედი“ და ყო-ფილი „კომუჯრედი“ გაერთიანებული იქნა. სასამართლომ მათ სასტიკი სასჯელი გამოუტანა, რის გამო ქვიშნარას „გმირები“ უკმაყოფილო დარჩენ.

სასამრთლოს განაჩენი გაზეთებმა შავ ანშლაგებით მოათავსეს. იმავე გაზეთებში თქვენ წაიკითხავდით დეპე-ზას ქვიშნარიდა:

„მოხარული ვართ სასამართლოს განაჩენით“ ქვიშ-ნარის კოლექტივი „გამარჯვება“.

## ჩემი ღლიური

7 მაისი. დილით ცნობილ „მეწყლე“ მ. ლალიძეს შევხდი. თვალები ცეცხლივით უბრწყინავდა. ეტყობოდა, —რაღაც უხაროდა. ჩემს შეხვედრაზე ცოტა შეკრთა, მა-გრამ ისევ ჩვეულებრივი სახე მიიღო.

— დილა მშვიდობისა, პატივცემულო ნიანგო. შეგი-ძლიათ მომილოცოთ. მგონია გავკეთდი კაცი. წუხელის

ისეთი სიზმარი ვნახე, რომ თუ ამისრულდა, ხომ იცი „მაკარიჩი“ ჩემზე იქნება. ისეთი ქეიფი გავმართო რომ „ჩიტის რძეც“ კი არ მაკლდეს. დამესიზმრა, ვითომ თფილისში წრეულს არაჩვეულებრივი სიცხე—პაპანაქება იყო. ვითომ მტკვარი ამოშრა. წყალსადენი წვეთს წყალს არ იძლეოდა. ამ დროს ჩემს ქარხანაში ამოსჩქეფდა დედამიწის გულიდან ბურახისა და ხილის წყლის შადრევანები. თქვენ წარმოიდგენთ, თფილისში რა ამბავი ხდებოდა. ქარხნის გარშემო ახლო-მახლო ქუჩებიდან გაჭედილი იყო მწყურვალე ხალხით; ვაჭრობა „დუღდა და გადმოდუღდა“. ფულების თვლასაც ვერ ვასწრებდი.

8 მაისი. დიდი ხანია მინდოდა „დიეტის“ სასადილოში მესადილა. როგორც იყო, დღეს გადავწყვიტე სურვილი სისრულეში მომეყვანა. ორი საათი იყო, რომ მე და გადარეული შევედით „დიეტის“ სასადილოში (მუშკოოპის სასადილო. რუსთაველის თეატრის პირდაპირ), „შენ თავისუფალი ადგილები დაიკავე, მე კი სადილის ჩეკებს ავილებ მეთქი, უთხარი გადარეულს და ბარათის ასაღებათ რიგში ჩავდგვი. სამი საათის რიგში დგომის შემდეგ, როგორც იყო, ბარათი ავილე. შიმოვიხედე, გადარეული არ სჩანდა, ხალხი ჭიანჭველებივით ირეოდა. თვითეულ პატარა მაგიდას მოსადილეთა რამდენიმე წრეები შემოხვეოდა.

ამ დროს გადარეულს თვალი მოვკარი. ერთ კუთხეში ატუზულიყო და ერთ მაგიდას შტერივით დასცეროდა. მაგიდას უსხდენ რამდენიმე ქალი და კაცი და სადილს შეექცეოდენ. ჭამდენ ნელა და ყბებს თხებივით აცმაცუნებდენ...

„გადარეულო, როგორაა საქმე? ამდენ ხანს ვერ დაიკავე კაცო ორი ადგილი?—ვკითხე გადარეულს. ამ

დროს მომესმა: „მოქალაქე, ხომ ხედავ დილიდან ვდგევარ. გაათავეთ საღილი და აბრძანდით! — თქვენ, მოქალაქევ, ალბათ, წერა კითხვა არ იცით. წაიკითხეთ რა წერია კედელზე: ჭამეთ ნელა. საჭმელი მაგრათ დაღუჭეთ... ჩვენც ასე ვიქცევით. თუ ჩვენ ორი საათი ვიცდიდით, ეხლა თქვენც მოგვიცადეთ!..“

კიდევ მომესმა

„აბრძანდით და ბალში დაისვენეთ“  
ეს ჩვენი საქმეა.

— თქვენ ხომ სკამებზე არ დაჭედილხართ! — აბრძანდით, ჩვენც გვინდა ვისაღილოთ! მოვიხედე, გადარეული, ისევ იმ ადგილას იდგა.

— გადარეულო, რავა გაშეშებულხარ, ბიჭო, უთხარი, რალა, ადგენ. ვერ ხედავ საღილი გაუთავებიათ?

— შენ უთხარი რალა, შეხედულებაც ხელს გიწყობს. მე კი მოთმენა ალარა მაქვს, მივდივარ!.. თქვა გადარეულმა და წასვლა დააპირა.

ხელი ვსტაცე.

— გადარეულო შესდეგ! განგებ აუმალლე ხმა. ყველა მე შემომცქეროდა. დადექ ჩემთან. პირი უნდა დავალო და ეს სასაღილო უნდა გადავყლაპო. ფრთხილათ, შენც არ ჩამივარდე! — ის იყო დავალე პირი, რომ სასაღილოში არავინ იყო მე და გადარეულის მეტი. შევედით სამზარეულოში, გამოვიტანეთ საღილი დალრეჯით და „ვჭამდით ნელა. საჭმელს მაგრათ ვლეჭავდით“. ამ დღეებში „ტარტაროზი-“ს მთელი შემადგენლობა ვეწვევით ხსენებულ სასაღილოს. ვნახოთ როგორ დაგვხვდებიან...

9 მაისი. „მსუბუქი კავალერიის“ ცოტა კი მომეხათოა, მაგრამ რვა საათზე ვერ ვახერხე რედაქტიაში მისვლას... „საპატიო“ მიზეზებს ყოველთვის ვნახულობ. მა-

გალითად, დღეს მინდოდა, რვაზე თუ არა 9-ზე მაინც ვყოფილიყავ სამსახურში, მაგრამ, დღესაც ვერ მოვახერხე. ის იყო ოთახიდან გამოვდიოდი, რომ კარებში ევგენი დვალი შევეჩეხე.

— ამხანაგო, ნიანგო, ვერ გაგიშვებ! მომართა ევგენიმ — იძულებული ვიყავ სტუმარი ოთახში შემებატიუებია.

ამხანაგო ნიანგო! ჩემი რევოლიუციონური წარსული თქვენ ალბათ კარგათ იცით. ისიც იცით, რომ მე ოუსთაველის პარტიის ბელადი გახლავარ. იცით რომ მე მეცნიერი პოეტი ვარ... ამბობდა ევგენი.

ვიცი, ვიცი, ამხანაგო ევგენი!

— და თუ იცით, ეს ლექსები უნდა დაბეჭდოტ „ტარტაროზში“ და მან გადმოშალა სქელი რვეული ლექსების.

— ამხანაგო ევგენი! მე პატივს ვცემ თქვენს პოეზიას, ეს თქვენ კარგათ იცით, მაგრამ, თქვენ მოგეხსენებათ, რომ „ტარტაროზში“ იშვიათი ლექსი თუ დაიბეჭდება, ისე ჩვეულებრივ პოეტების, ვთქვათ პროლეტმწერლების, ჩვენ არ ვბეჭდავთ.

— ეცადეთ, ამხანაგო, სამაგიეროდ შენს—შესახებ პოემის დაწერას ვაპარებ “...

მეც ავასრულე ევგენის თხოვნა და დაუბეჭდე ეს ორი ლექსი:

### ცის მათსანი

მიწის მგოსანს ვინ თვლის მგოსნათ?

უსწავლია თუ ნასწავლი?

იმას უკვე კარგა ხანი გაუვიდა თვის დრო—ყავლი—

მე ცაში მაქვს, ცაში საქმე, იმიტომ ვარ დიდი დვალი შორს ხელავს და იცქირება ჩემი გრძნობა, ჩემი

თვალი.

პოეზიის იდუშალით მე ვერ მეფე გარდუვალი  
მე ცის მგოსანს მეძახიან, ღიღ-პატარა, კაცი, ქალი.  
ჩემ ნაწერებს, თუ ჩემს ლექსებს მცნებათ ჩასთვ-  
ლის მომავალი

მე ვარ მეფი, მე ვარ ღმერთი, მე ვარ ღიღი ევგენ  
დუალი.

ვინც მე მგმობდა, ქვებს მესროდა, ღლეს იწამა ჩემი  
კვალი,

უკან მომდევს ჩანჩალითა რუხაძე და სხვაც მრავალი,  
ქუჩიშვილი, გრიშაშვილი, აბაშვილი და კოპალი,  
ლეონიძე, ტაბიძენი ყველა ერთად თავმოყრილი  
ფაშალიშვილ — მჭედლიშვილი და ტერენტი გრა-  
ნელი,

გაფრინდაშვილ-რობაქიძე საცოდავი-სატირელი,  
შანშიაშვილ-იაშვილი, პოეზიაში მოქნილნი;  
ობოლი მუშა, ვარდოშვილი, ვაი ჩვენი ცოდვის  
ბრალი

გაუმარჯოს ჩემს ზე-მუზას, წაუკიდა ყველას ალი.  
ყველა აალაპარაკა, მკვდარი იყო თუ ცოცხალი  
ქორწილი აქვს რუსთაველსა, გვერდით უჯდის თა-  
მარ ქალი;  
ხარობს მთელი არს-სამყარო, ბუნება და იდუმალი;  
მოდით ყველამ, ეზიარეთ, გზა გაგეხსნათ მიუვალი;  
უკუდავების სულს ჩაგბერავთ, თქვენი მეფე, ევგენ  
დვალი.

### ელიარება

მე ვარ ღიღი ევგენ დვალი, ძალ-ბრწყინვალე, ძალ-  
ჩაუქი  
ვინ ასწერავს ქვეყნისათვის, რაც სიკეთე მაქვს  
ნაჩუქი.

ცხოველი მზე მე შევქმენი, მე ავანთე მის პატრუქი,  
ცის სარტყელის ფერი მივეც მწვანე, ლური, წითელ-  
შუქი,

ვარსკვლავებსა სიციმციმე, ელვას ცეცხლი, მთვარის  
შუქი,

ცას ლაჟვარდი ტურთა სახე, ჰაერს თეთრი ორთქ-  
ლის ქურქი.

მიწას ზამბახ.—ია ვარდი, საკოცნელი და სასუქი,  
თვით ეს ლექსი სილამაზით მთელ სამყაროს გადა-  
მთუთქი,

სიტყვა ჩემი არ გეგონოთ, ცარიელი ბაქა-ბუქი,  
რაც ვთქვი, ყველა დაამტკიცებს, ვინც არ არის  
თავმსუბუქი.

### „თავისი ხალხი“

სევასტი გაძვრებაშვილი გაიძვერა, თაღლითი და  
მოქნილი პიროვნება იყო, თუმცა ამ თვისებებს ის არ  
ამჟღავნებდა. პირიქით: ის ყველასთან თავაზიანობას და  
თავმდაბლობას იჩენდა.

— ვინ რა იცის, შენ რა კაი ბიჭი ხარ! — ეტყოდა  
ხშირად მას მისი „გულითადი“ მევობარი პავლე ჩახრაძე.

სევასტი უპარტიო კაცი იყო, მაგრამ როცა დას-  
ჭირდებოდა თავი პარტიულად მოჰქონდა.

— რა უყოთ, მანდატი არ მაქვს, მე უპარტიო  
კომუნისტი ვარ! — ეუბნებოდა იმათ, რომლებსაც მისი  
სჯეონდა.

ორი წლის წინათ ის განაგებდა ერთ დიდ საქმეს,  
რომელიც მან მოხერხებულად გამოხრა, გააძვალტყავა და  
ისე დაუტოვა თავის მოადგილეს. მას შემდეგ ის დანი-  
შნული იქნა სახელმწიფო ვაჭრობის ერთ-ერთ დაწესებუ-  
ლების გამგეთ (ქალბატონის პროტექციამ მის „დაწინაუ-  
რებაში“ აქტიური მონაწილეობა მიიღო).

ახალ საქმეში მუშაობას სევასტი დიდი „რისით“  
შეუდგა.

მიუხედავად ამისა, ამ დაწესებულების საქმე მაინც

უკან მიდიოდა. სევასტი კი ყველას წინააღმდეგს უმტკირ-ცებდა და ზოგიერთ დეფექტებს აბიექტიური პირობე-ბით ხსნიდა. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ უკანასკნელ დრომდის სახელმწიფო საკონტროლო ორგანოებს განსა-კუთრებული ყურადღება არ მიუქცევია ხსენებულ და-წესებულებისათვის.

მაგრამ, ნათქვამია: „კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანსო“. ერთ მშვენიერ დღეს (ცხადია სევასტისათვის ცს დღე მშვენიერი არ იქნებოდა) „მსუბუქმა კავალერიამ“ სევასტის მყუდროება დაარღვია.

„მსუბუქ კავალერიას“ მოჰყვა მუშგლებინის კვლევა-ძიება, ამავე დროს დაიწყო ამ დაწესებულების წმენდაც და სევასტის საქმე „ჭადრაკულათ“ შეიქნა.

— ფიქრი ნუ გაქვს, საქმეს გამოვაჭარაკებთ: წმენ-დაზე „ჩვენს ხალხს“ დავრაზმავთ და შენ „პოდიომში“ „აგწევთო“ — ანუგეშებდა სევასტის მისი მეგობარი პავლე ჩახრაძე, რომელიც სევასტის ერთი „პასუხისმგებელი“ თანამშრომელთაგანი იყო.

სევასტის სჯეროდა, რომ თავისი „ხალხი“ წმენდის დროს მას დაიცავდა. სევასტის ჭკვიან კაცს ეძახდენ და, მართლაც, მან კარგად იცოდა საზოგადოებრივ აზრის მნიშვნელობა. აშიტომ მან დაწესებულებაში თავის ხალხს მოუყარა თავი, რომლებიც ყველგან და ყოველთვის სე-ვასტის ქება — დიდებაში იყვენ.

— ჩვენი გამგე ოქრო კაცია — იტყოდა ერთი და სხვები დაემოწმებოდენ.

— ჩვენი გამგე საკომისარო კაცია. — იტყოდა მეო-რე და ყველა დაუდასტურებდა.

ასე ქმნიდენ სევასტის გარშემო საზოგადოებრივ აზრს მისი ერთგული თანამშრომლები, რომლებიც ქა-ლებთან არშიყობის მეტს დაწესებულებაში არათერს აკე-თებდენ.

მაგრამ დადგა მათი განკითხვის დღეც: დაწესებუ-ლების წმენდა დაიწყო.

პირველად გამწმენდ კომისიის თავმჯდომარემ გა-  
აცნო დამსტრე მუშა-მოსამსახურეებს საბჭოთა აპარატე-  
ბის წმენდის შიზანი და დანიშნულება.

თავმჯდომარის სიტყვის „შემდეგ „გრძნობიარე“ სიტ-  
ყვა წარმოსთქვა სევასტიმ, რომელმაც მოუწოდა ყველას  
—დახმარება გაეწიათ კომისიისათვის დაწესებულების  
წმენდის საქმეში.

რამდენიმე მოსამსახურის წმენდაში გატარების შემ-  
დეგ, კომისიამ გამოიძახა თვით სევასტი, რომლის გამო-  
ჩენამ დამსტრეთა ერთ ნაწილში გამოიწვია ტაშის ცემა.

სევასტიმ დიდხანს ილაპარაკა თავის წარსულზე.  
მისი სატყვით ის იყო პირველი რევოლიუციონერი, პირ-  
ველი კომუნისტი, საუკეთესო სპეცი, საბჭოთა წყობილე-  
ბის ერთგული დამკველი, უანგარო და სპეტაკი ადამიანი.

— სიტყვა ვის სურს? — იკითხა თავმჯდომარემ, რო-  
ცა სევასტიმ დაასრულა თავისი სიტყვა.

— მე! — გაისმა პავლეს ხმა, რომელიც წამოდგა და  
სევასტი ქება-დიდებით „ცამდის აიყვანა“.

— სევასტის მეოხებით ჩვენი დაწესებულება წინ  
მიდის. — დაასრულა პავლემ თავისი სიტყვა.

— სტყუი, ჩვენი დაწესებულება მაგან დაღუპა! —  
წამოიძახა ადგილიდან კომკავშირელმა ვანომ.

ამის შემდეგ კიდევ გამოვიდენ, როგორც სევასტის  
მომხრეები, ისე მოწინააღმდეგენი, განსაკუთრებით სევას-  
ტის იცავდა „თავისი ხალხი“, მათ შორის ყველაზე უფ-  
რო თავგამოდებით — საქმეთა მმართველი, ყოფილი თა-  
ვადი და ოფიცერი — გიგო მავნებაძე.

სევასტის შემდეგ წმენდა გაიარეს მისმა მომხრეებმა,  
რომელთა დასაცავად სევასტი არ შურავდა თავის ძალ-  
ლონეს და თვითეულ მათგანს იდეალურ პიროვნებათ  
სახავდა.

— შეხედე, შეხედე როგორ თავგამოდებით იცავენ ერთმანეთს! — წარმოსთქვა ერთმა დამსტრეთაგანმა.

— ხომ გაგიგონია: „ხელი ხელსა ბანსო“... „თავისი ხალხია“. — შენიშნა ძეორემ.

წმენდა დასრულდა.

ხსენებული დაწესებულება გაიწმინდა მავნე ელიმენტებისაგან, რომელშიაც მოყვენ: სევასტი, პავლე, გიგო და ყველა ისინი, რომლებსაც სევასტი „თავის ხალხათ“ თვლიდა.

წმენდის შედეგით მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა კმაყოფილი დარჩა.

სევასტის ვერ უშველა „თავისმა ხალხმა“, მაგრამ ვერც სევასტიმ უშველა „თავის ხალხს“.

## გზებნეული

— გაზაფხული კარზე მოგვდგომია და ჩვენ კი ხვნა-თესვაც არ დაგვიწყია! — ესაყვედურებოდენ ერთმანეთს სოფ. ოფლადენის კოლექტივის წევრები.

— ხელცარიელი ხომ მუშაობას ვერ დავიწყებთ. ამდენი ხანია სამეურნეო იარაღებს ველით და დღემდის არ მიგვიღია! — ნაღვლიანი ხმით ჩაილაპარაკა ერთმა მათგანმა.

— ახალ იარაღებს შენ თავი დაანებე, ისიც კი ვერ შევაკეთეთ, რაც გვქონდა, იარაღების შემკეთებელი სახელოსნო სახელითაა მხოლოდ. საქმით კი... გაისმა მოხუც ლევარსის ხმა.

— ჯერ იყო და თესლი თავის დროზე ვერ მივიღეთ, ეხლა თესლი გვაქვს და იარაღები არა, — წამოიძახა კოლექტივის ერთ-ერთმა წევრმა.

— თქვენ ეი, რა დაგემართამთ, დამდგარხართ აქ და ბებია ჩემსავით ტირით, საცაა ჩვენი თავმჯდომარე მიხო ტფილისიდან დაბრუნდება, იარაღებს მოიტანს და მუშაობასაც დავიწყებთ, — ხმა მაღლა და გაჯავრებით

შარმასთქვა ბესომ, რომელიც იქ მყოფთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო.

— შაქარი შენს ენას ბესო, შაქარი! გაისმა იქ მყოფთა შორის.

ამ დროს კოლექტივის ეზოში მიხოც გამოჩნდა.

— მიხო, მიხო, მიხო! მიაძახეს მას კოლექტივის წევრებმა.

— რა მოგვიტანე მიხო ჯან? შეეკითხა მას ერთი მათგანი.

— მოტანით არაფერი მომიტანია, საქმე კი გავაკეთე, თქვენი დავალება შევასრულე. იარაღებს ხვალ თუ ზეგ მივიღებთ. ისე კი, რა უნდა გითხრათ ამხანაგებო, აი ბიუროკრატობა რომაა, ჩვენ რომ საქმის გაჭიანურებას ვეძახით, ისაა რომ აფერხებს ჩვენს საერთო საქმეს. პარტია და ხელისუფლება ჩვენთვის არაფერს ზოგავს, ყველაფრით გვეხმარებიან, მარა ისინი, რომლებიც ცხოვრებაში უნდა ატარებდენ მთავრობის დადგენილებებს, ვერ დგანან თავის სიმალლეზე. ზოგი მათგანი შეიძლება განგებც გვიშლიდეს ხელს, რომ კოლექტივმა არ იხეოროს ჩვენში.

ტფილისში ჩასვლისას გავიგე, რომ ჩვენთვის იარაღები თავის დროზე გადაუციათ რკინის გზისათვის, როცა რკინის გზას მივმართე, იქ მითხრეს, რომ იარაღები ორი თვის წინად გამოგიგზავნეთო. გამიხარდა. უმჯობესია გვიან, ვინემ არასდროს მეთქი. როცა ჩვენი სადგურის უფროსს მივმართე, მან მიპასუხა, თქვენი იარაღები არ მიღვილიაო. არ ვიცოდი რა მექნა. ცენტრს დეპეშა გაუგზავნე. ერთი კვირაა, რაც ამ საქმეს დავსდევ და ბოლოს გავიგე,— რომ ჩვენი იარაღები რკინის გზის შეცდომით ბათომში ჩაუტანია. მივიღე შესაფერი ზომები. ხვალ თუ ზეგ ბათომი ჩვენს იარაღებს უკან გა-

მოგვიგზავნის და ჩვენც მუშაობას დავიწყებთ! — დაათავა  
მიხომ და შუბლიდან ოფლი ჩამოიწმინდა.

— ალბად რკინის გზას გზა აბნევია, კიდევ კარგი,  
რომ თვითონ არ დაიკარგა! — იხუმრა ბესომ.

## იავი კუბოები

ეს ამბავი მოხდა რამდენიმე წლის წინათ. კოწია  
წერწეტაძე გამგე იყო ერთ-ერთ სავაჭრო-კოპერატიუ-  
ლი არტელის დამკრძალავ ბიუროსი.

ის იყო შორიაპნის მაზრის შრომაშინის თემის ცხრა-  
წლედ — დამთავრებული ახალგაზრდა, რომელსაც განეზ-  
რახა სახელმწიფო უნივერსიტეტში შესვლა, მაგრამ “ბედს  
ემუხთლა” მისთვის და გამოცდებში ჩაჭრილიყო. (სხვათა  
შორის რუსულ ენაში ედინიცა მიეღო).

მისთვის რომ გეკითხათ, ის გეტეოდა, რომ გა-  
მოცდებში ის კი არ ჩაჭრილა, არამედ პროფესორებმა  
განგებ ჩასჭრეს პირადი ინტერესების ნიადაგზე. რომ მის  
სიმაროლეში არავის ეჭვი არ შეეტანა, რუსული ენის  
ცოდნას ხშირად იჩენდა და მოყვებოდა ხოლმე ლაპარაკს:  
Кто меня больше будиит знат по русскому языках  
თავმომწონეთ ჩაუკრავდა ბოლოს, რადგან „ხ“-ს გამოთ-  
ქმა ძალიან ეხერხებოდა.

По напрасному отрезали меня, сამია по напрас-  
ну ეუბნებოდა თავის ნაცნობ — მეგობრებს, რომლებიც  
განგებ, მისი გალიზიანების მიზნით, შეეკითხებოდენ მას  
ხშირად მისი გამოცდების შესახებ.

ასე იყო, თუ ისე, წერწეტაძე უნივერსიტეტის გა-  
რეშე დარჩა, რაც მასში მაინც და მაინც დიდ მწუხარე-  
ბას არ იწვევდა. პირიქით მას შემდეგ, სამსახური იშოვა  
და კმაყოფილიც იყო ამ გარემოებით.

„ბაბუაჩემს ყურსები“ არ გაუთავებია, მარა ჩვენს  
„უეზდში“ პირველ კაცათ ითვლებოდათ“, ანუგეშებდა  
კოწია თავისთავს.

გამოცდებში ჩაჭრის შემდეგ, წერწეტაძე ან სოფელ-ში უნდა დაბრუნებულიყო, ან და ტფილისში დარჩენი-ლიყო და რამე სამსახური ეშოვნა. ის წინდაწინ გრძნო-ბდა, რომ მამა მისი გორჯასპირ მას „სათოფეზე“ არ მი-იკარებდა. „როგორ თუ გაბედე და ეგზამენიე ვერ დეი-ჭირეო“, ლანძღვა-გინებით „შეუკურთხებდა“ მას გორ-ჯასპირ და კეტით იფრენდა. ესეც, რომ არ ყოფილიყო, მისი აზრით, როგორ უნდა ეცხოვოდა მას, „განათლებულ“ კაცს მიყრუებულს სოფელში, რომელმაც შრომაშინის თემის ცხრაწლედი „პირველ მოწაფეთ“ დაასრულა.

ამიტომ სოფელში დაბრუნებას ისევ ტფილისში დარჩენა არჩია. მართალია, რამდენიმე თვე უმუშევ-რად დაღიოდა, მაგრამ კოწიას მაინც და მაინც უმუ-შევრობა არ ეტყობოდა, რაღვან ხან ერთ ნაცნობს დაე-პატივებოდა, ხან მეორეს; რამდენიმე ხნის შემდეგ, რო-გორც იყო, „ძმა-ბიჭების“ დახმარებით კოწია სავაჭრო-კოოპერატიულ არტელში წვერათ ჩაეწერა და დამკრძა-ლავ ბიუროს გამგეთ იქნა არჩეული.

ყველას უკვირდა კოწიას ინვალიდათ გახდომა, რაღ-გან კარგად იცოდენ, რომ წერწეტაძეს არც ცხვირი აკლდა, არც თვალი, არც ფეხი და არც ხელი. მართალია, ცოტა თავში „უქროდა“, მაგრამ ეს ხომ ანგარიშში მი-საღები არ იყო რათვან ქარის ანგარიშის გაკვეთილები ჯერ-ჯერობით ჩვენს ცხრა-წლედებში შემოღებული არ არის. ისიც უკვირდათ, რომ კოწია არ იკლებდა თავის-თვის არც ტანისამოსს, არც ფეხსაცმელს და ძველ თავა-დივიით ჭამდა, სვამდა და ქალებშიაც ქეიფობდა. ეს იყო მიზეზი, რომ ზოგიერთებში წერწეტაძე ეჭვს ძრავდა,

კოწია გრძნობდა, რომ მის გარშემო ატმოსფერა მძიმდებოდა. მან იცოდა, რომ ძველი დრო არ იყო და მის ოინებსაც კუდი საღმე მაინც გამოაჩნდებოდა. საჭი-რო იყო ზომების მიღება და ტაქტიკურათ მოქმედება.

საჭირო იყო მის შესახებ საზოგადოებრივი აზრის დადებითად დამუშავება. კოწიამ პარტიაში შესვლაც სცადა, მაგრამ არათერი გამოვიდა.

სარეკომენდაციო ფურცელზე ხელის მომწერი ვერავინ იშოვა.

ერთ საღამოს მას დაებადა ისეთი აზრი, რომელმაც მის სახეს სიხარულის ელფერი გადაკრა. მისი აზრით, საჭირო იყო მშრომელთათვის კუბოების გაკეთება და ამით მაინც სახელი მოეხვეჭა.

სიტყვა და საქმე ერთი იყო. იმ ღამესვე ეს საკითხი არტელის გამგეობის თავმჯდომარეს შეუთანხმა და მეორე დღეს კუბოების საწყობის კედლებზე ისეთი განცხადება გამოაკრა:

„ინგალიდთა სავაჭრო—საწარმოვო კოოპერატიული ნადის დამკრძალავი ბიურო ამზადებს საუკეთესო ხარისხის კუბოებს, რომლებიც იაფათ დაეთმობათ მუშებს და გლეხებს“.

ამ განცხადების გამოქვეყნების დღეს დილიდან-საღამომდე წერწეტაძე კუბოების საწყობის წინ იდგა და ყველას უხსნიდა კუბოების გაიაფებას. იმ საღამოს მან სიამოვნებით „არტოშიკ“ ივაბშმა. ღამის ორი საათი იქნებოდა, რომ კოწია სახლში დაბრუნდა, ლოგინში ჩაწვა და ტკბილათ დაიძინა.

ისეთი სიზმარი მას არასოდეს არ უნახავს, როგორც იმ ღამეს. მუშათა ცენტრალური კლუბი გრილიანდებით იყო მორთული, სათეატრო დარბაზი სავსე იყო ზღვა ხალხით, ტრიბუნაზე ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ.

— გამო, კოწია წერწეტაძე! — გუგუნებდა ხალხი.

მუშა ორატორმა, რომელმაც უკანასკნელად იგიდა ტრიბუნაზე მგრძნობიარეთ მიმართა მას.

— „ძვირფასო ამხანაგო კოწია! შენი დამსახურება მუშათა კლასის წინაშე დაუთასებელია. მშრომელი ხალხი

არასოდეს არ დაივიწყებს შენს ლვაწლს. კუბოების გაიაფება, რომელსაც თქვენ უნდა გიმაღლოდეს მუშათა კლასი საგრძნობლად გაზრდის მუშის ბიუჯეტს, აღაშიანურად ცხოვრების საშუალებას მისცემს მას. ამიტომ გაუმარჯოს ამხ. წერწეტაძეს!

— ვაშა! ვაშა! — ერთხმად უპასუხა ზღვა-ხალხმა.

უკვე დღის თორმეტი საათი იყო, რომ გამოელვიდა მას. ნახევარი საათის შემდეგ ის კუბოების საწყობის წინ იდგა და ათვალიერებდა გამლელ-გამომვლელთ.

— ვინ არის აქ კოწია წერწეტაძე? — შეეკითხა მას დამზღვევ სალაროს წარმომადგენელი, რომელსაც სამხედრო ფორმაში გამოწყობილი კაცი ახლდა.

— მე გახლავარ! — მიუგო მას კოწიამ და სახეზე ნაცრის ფერი გადაეკრა.

— თქვენ უნდა წამომყვეთ! — უთხრა მას უცნობმა და რაღაც ქალალდი უჩვენა.

კოწია დაიჭირეს და გამსახლში მოათავსეს, რადგან თავისი შეუფერებელი ტაქტიკით კუბოებზე ფასების საგრძნობლად დაწევის საქმეში ის დამზღვევ სალაროს შესაფერი განკოფილების პრესტიჟსა სცემდი და ამასთან ერთად ნივთიერ ზარალსაც აყენებდა, რადგან თუ კუბოების ასე იაფად გაყიდვა კი შეიძლებოდა, მაშინ რაღა აზრი უნდა ქონოდა სალაროდან, შედარებით უკვე შესვილი დასაკრძალავი თანხების გაცემას.

გარდა ამისა, ისიც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ საკითხი აღნიშნულ განკოფილებასთან წინასწარ შეთანხმებული არ გახლდათ და, მაშასაღამე, კუბოების ასე ხელმიშვერ დაკლებულ ფასებში გაყიდვას შეეძლო კლასობრივი ხაზის გამრუდება ამ საქმეში: შესაძლებელი და მოსალოდნელი იყო კუბო შეეძინა ფიქტიურად გლეხს, ხოლო ფაქტიურად კი მასში მოკალათებული ყოფილიყო თავადი ან კიდევ ნაპრისტავალ-ნასტრაუნიკალი აზნაური. შესაძლოა, თვითონ კოწიას მეზობელიც.

## „ამხანაგი“ ოქტომბერი

ოქტომბრის დღესასწაულის წინა დღეებში მაცნობეს, რათა დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყავი ს. ნაყოფინში და მთავრობის სახელით მიმელოცა ადგილობრივი მშრომელი გლეხობისათვის პროლეტარიატის გამარჯვების დიადი დღესასწაული.

უნდა გამოგიტყდეთ, ამ ამბავმა როგორც გამახარა ისე გამამწარა. სასიხარულო იყო ის, რომ ბავშობის შემდეგ ქალაქს არ მოვშორებულვარ და სოფლის ჰასუნთქვა ძლიერ მენატრებოდა. სამწარო და სამწუხარო კი იგი იყო შემდეგი მიზეზით: მართალია, მიწადმოქმედების კომისარიატის ერთ-ერთი დაწესებულება, სადაც მე ვმსახურებ, ს. ნაყოფიანის შეფაღ ითვლება, მე კი საშეფო კომისიის თავმჯდომარეთ, მაგრამ ჩვენ შორის საიდუმლოთ დარჩეს და, ხსენებულ სოფლისათვის ჯერ-ჯერობით არავითარი დახმარება არ გაგვიწევია და, წარმოიდგინეთ, კომისიის არც ერთმა წევრმა არ იცის, თუ რომელ მაზრის სოფელია ნაყოფიანი. ასე გასინჯეთ, მეც კი ის ქუთაისის მაზრაში მეგონა, როცა ნამდვილად ოზურგეთის მაზრაში ყოფილა.

მეორეს მხრივ ეს ამბავი არ გამარებია იმიტომ, რომ ცოტა არ იყოს სოფლის ცხოვრებას მაინც და მაინც კარგად ვერ ვიცნობ, თუმცა, როდესაც ზევით მოგახსენეთ, მიწათ-მოქმედების კომისარიატის ერთ-ერთ დაწესებულებაში პასუხისმგებელ მუშაკათ ვითვლები. ეს გარემოება მაფიქტებდა, და ჩემთვის ვამპობდი ვაი თუ იმ პირთა მდგომარეობაში ჩავარდი, რომლებიც ქალაქიდან, ხელცარიელი ესტუმრებიან სოფელს, დილიდან სალამომდე ილაპარაკებენ ყველაფერზე, მიედ-მოედებიან და ერთი სიტყვითაც არ შეეხებიან სოფლის დღევანდელ მდგომარეობას მეთქი.— „წავიდე, არ წავიდე, წავიდე, არ წა-

ვიდე... ვეკითხები თავის თავს. ბოლოს გადავწყვიტე წა-  
ვსულიყავი. შუა-ლამე იყო, როცა სოფლის შუა გულში  
რკინის გზის საღგურზე გაქაფებული ცხენი „შევაჯირი-  
თე“. წვიმიანი დარი იყო და სოფლის გზაც—ტალაჩიანი  
მე კი თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი, მხარზე სანადი-  
რო თოფით ვიჯექი ცხენზე. ვინმეს რომ შეეხედა, სწო-  
რედ „დონ-კიხოტს“ მიმაშვილებდა ჩემი მასპინძელი  
გიორგი მხიარულაძე, მიუხედავად თავის ჭალარამოსილე-  
ბისა, მხიარული ადამიანი აღმოჩნდა.

— აბა ჩქარა, ჩქარა საჭმელი, ხომ იცით, სტუმარი  
„მომშიებული“ იქნებაო, აჩქარებდა ქალებს გიორგი.

— ო, თუ ღმერთი გწამს, ნუ შეწუხდებით ბოდი-  
შის მოხდით ჩავილაპარაკე ჩუმათ, რათა ჩემი სიტყვები  
არავის გაევონა.

— როვორ, რა თქვით: „თუ ღმერთი გწამსო“? თქვენ პარტიული ხართ? შემეკითხა ის.

დიახ, პარტიული გახლავარ! გაკირვებით უპასუ-  
ხე მე.

— მაშ, თქვენ ღმერთი გწამთ! განა, კომუნისტებს  
ღმერთი სწამთ?!

— ო, არა, მე ისე, ვთქვი, თქვენ რომ მესიამოვნე-  
ბიეთ.—მიუგე მას და თან ენაზე ვიკბინე.

— რაო, თქვენ გგონიათ, მე ღმერთი მწამს? ცდე-  
ბით! მე ღმერთი, ჩემო კარგო, ნიკოლოზის დროსაც არ  
მწამებია. ჩვენი ეკლესიის დანგრევაში პირველობა მე მე-  
კუთვნის...

„ამხანაგი“ ოქტომბერი ჩვენს სოფელში პირველათ  
მე შემოვიყვანე, მაშა!.. ამბობდა მხიარულაძე და თან  
ცეცხლიან ბუხარს შეშას უმატებდა.

— ამხანაგი? ჰმ, თქვენ ხუმარა კაცი ყოფილხართ...  
ვთქვი მე.

— დიახ, ამხანაგი ოქტომბერი, მაშა დაბეჯითებით დაატანა ჩემმა მასპინძელმა და ბუხარში ცეცხლი გააჩალა...

შემდეგი საუბრიდან გამოირკვა, თუ როგორი წარმოდგენა ჰქონდა მას ოქტომბერზე. მისი წარმოდგენით, ოქტომბერი იყო დიდი კაცი, რომელმაც უკვე შესძლო ქვეყნის ნახევრად გადატრიალება, მეფე ნიკოლოზისა და მისი მომხრეების ჩამოგდება, ხოლო ახლა მეორე ნახევრის გადატრიალებას ამზადებდა.

გუნდებაში მეცინებოდა, როცა ეს გულუბრყვილო გლეხი, რომელიც ცალი ხელით მამაპაპათა ტრადიციებს ისევ ებლაუჭებოდა, ვახშმობის ღროს უბრალო სიდღეგრძელება შორის უეცრათ ღვინით სავსე ჭიქას ხელს წამოავლებდა და გზიდან ნაუცრათევად გადახვეულსავით წამოიძახებდა ხოლმე: „ეს ამხანავ ოქტომბერს გაუმარჯოს“—ოუ..

— ამხანაგი ოქტომბერი ჩვენ გვავალებს... „ამხანაგი ოქტომბერი ასე ამბობს“... „ამხანაგი ოქტომბერი ისე გვირჩევს“... არ ისვენებდა ჩემი მასპინძელი, თითქოს უკვე შეიგნო ჩემი გულის ამბავი და უნდა ერთი ლაზათიანი სიცილი დამტყუოსო...

მაგრამ მისგან დავალებული სტუმრის მდგომარეობა მე მაიძულებდა თავის შეკავებას. მხოლოდ გადავსწყვიტე; მელაპარაკა ისე, რომ ჩემი მასპინძლის ყალბი წარმოდგენა ოქტომბერზე მაინც გამეფანტა...

არ ვიცი შევძელი თუ არა მე ეს მაშინ?..

მაგრამ დღეს, ოქტომბრის მეცამეტე წელს, არა თუ ასეთ უვიცობას, ბევრს „დიდ-დიდ ნასწავლ“ ხალხის ჯიუტ აზრებსაც გაუფანტათ საფანელი, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

## საგედისჭერო ყუთი

— ამხანაგებო! დღეს ოქვენ მოისმინეთ მოხსენება ჩვენი დაწესებულების აპარატის წმენდის შესახებ. ოქვენ კარგათ იცით, რა სერიოზული და საპასუხისმგებლო საქმის წინაშე ვდგევართ. ოვითეული ჩვენგანი ვალდებულია გამწმენდ კომისიის მუშაობას ხელი შეუწყოს და ყოველნაირი დახმარება აღმოუჩინოს. კომისიას საკმაო მასალები მოეპოვება იმ პირთა შესახებ, რომლებიც ჩვენ დაწესებულებაში შემოპარულან და თავიანთი მოქმედებით სოციალისტურ აღმშენებლობას ხელს უშლიან. ჩვენ უნდა ვამჟღავნოთ პროლეტარული გამბედაობით მათი „საქმენი საგმირონი“. ისინი არიან ყოფილი ვაჭრები, თავადები, ძველი მოხელენი, პოლიციელები და „ძმანი მათნი“. კომისიას მათ შესახებ დამუშავებული აქვს საკმაო მასალები, მაგრამ ოქვენი დახმარება მაინც საჭიროა. ხვალ, მუშათა კლუბში დაიწყება მათი წმენდა და ოქვენ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოთ ამ საქმეში... ამასთანავე, როგორც იცით, გამწმენდ კომისიის ინიციატივით აქვე შემოსასვლელში ჰყიდია საჩივართა ყუთი, რომელიც სავსეა მამხილებელი მასალებით. ყუთი გაიხსნება. ხვალ. ჯერ კიდევ დრო არის და მსურველთ შეუძლიათ ყუთის საშუალებით მასალები მოგვაწოდონ წმენდის კანდიდატებზე.

მაშ ასე ამხანაგებო, ემზადეთ ხვალისთვის. ჩვენ რკინის ცოცხით უნდა გავწმინდოთ ჩვენი დაწესებულება იმ მავნე ელემენტებისაგან, რომლებიც ხორცმეტია საბჭოთა საზოგადოებისა და სოციალისტურ მშენებლობისათვის. გაუმარჯვოს, ამანაგებო, ამ ჩვენს საქმეს. გაუმარჯვოს სოციალიზმს!

ასე დაასრულა თავისი გრძნობიერი სიტყვა ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა სა-ერთო კრების თავმჯდომარემ, რომლის სიტყვა დაიფარა მქუხარე ტაშის ცემით.

იმავე დღეს, ხსენებულ დაწესებულების ერთ „პა-სუხისმგებელ“ თანამშრომლის ბინაზე გაიმართა საიდუმ-ლო კრება, რომლის თავმჯდომარემ ასე მიმართა იქ მყოფთ:

— ბატონებო! დანამდვილებით ვიცი, რომ ჩვენზე მასალები გამწმენდ კომისიას ცოტა მოეპოვება, რაც აი-სხნება ალბათ იმ გარემოებით, რომ ჩვენს წინააღმდეგ აშკარად ვერავის გაუბედია გალაშქრება. ან კი ვინ გა-ბედავდა, როცა ჩვენ ყველა დაშინებული გვყავს!..

— მართალია, მართალი! - გაისმა ხმები...

— დიახ, მართალია,—განაგრძო თავმჯდომარემ, მაგრამ ნურავინ იფიქრებს, რომ საშიშროება არ მოგვე-ლოდეს. ხომ გახსოვთ, გუშინ თავმჯდომარის განცხადება იმის შესახებ, რომ საჩივართა ყუთი სავსე ყოფილა მამ-ხილებელი მასალებით. და, აი ბატონებო, ეხლავე უნდა მივიღოთ ზომები ყუთის წინააღმდეგ. საჭიროა ეხლავე დავავალოთ ერთ ჩვენთაგანს, რომელმაც უნდა თავდასხმა მოახდინოს ყუთზე და დაუყოვნებლივ მოგვიტანოს, რაც ყუთში აღმოჩნდება. აქ კი დამშვიდებით განვიხილავთ ჩვენზე მამხილებელ მასალებს, რომლებიც შემდეგ, შეიძ-ლება, გამწმენდ კომისიასაც კი გადავსცეთ... დაცინვის კილოთი წარმოსთქვა მან, რომლის წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. ცოტა ხნის შემდეგ, იმავე „პასუხისმგე-ბელ“ თანამშრომლის ბინაზე სიცილ-ხარხარში“ იხილე-ბოდა ზემოხსენებულ რაწესებულების წმენდის კანდიდა-ტებზე მაჩილებელი მასალები, რომლებითაც კრების

დაშლის შემდეგ „პასუხისმგებელმა თანამშრომელმა“ ბუ-  
ხარში ცეცხლი გააჩინა.

მეორე დღეს, მუშათა კლუბში, წმენდისთვის დანიშ-  
ნულ დროს, აუარებელ ხალხს მოეყარა თავი და წმენდის  
დაწყებას ელოდებოდა. კლუბის სცენაზე გამოჩნდა გამ-  
წმენდ კომისიის თავმჯდომარე და განაცხადა:

— ამხანაგებო, — დაიწყო მან ნალვლიანი ხმით, —  
ჩვენზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო ჩვენი დაწესებუ-  
ლების აპარატის წმენდა დროებით გადადებულია. კომი-  
სიის გადაწყვეტილებით დღეიდან ხელახლა იწყება მო-  
სამზადებელი მუშაობა. საჩივართა ყუთი კიდია ჩემს კა-  
ბინეტში. კრება დახურულია! მან სცენა დატოვა. ხალხი  
უკმაყოფილოდ დაიშალა... „პასუხისმგებელი თანამშრო-  
მელი“ თავის ამხანაგებით „საყვედურს გამოსთქვამდა“  
წმენდის გადადების გამო.

---

ବ୍ୟାସ ୩୦ ପତ୍ର.

୬୭